საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გოჩა ჯეირანაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	92	100

ლევან ნემსაძე *[signature]*

თარიღი: 29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან ნემსაძე

2024 წლის 29 აპრილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **გოჩა ჯეირანაშვილის**

შეფასება დასაბუთება

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა გოჩა ჯეირანაშვილი. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[2] მუხლით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ რომელსაც გავეცანი. 2024 წლის 19 აპრილს ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის" 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

კანდიდატი 46 წლისაა, უმაღლესი იურიდიული განათლებით (მაგისტრი, თსუ). მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით

ჩაბარებული აქვს 2006 წელს. სპეციალობით მუშაობს უკვე 22 წელია, მათ შორის - მოსამართლედ 15 წელზე მეტია, კერძოდ:

- 2002-2007 წლებში მუშაობდა ახალციხის შსს რაიონული განყოფილების კრიმინალური პოლიციის არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის უფროს ინსპექტორად;

- 2007-2009 წლებში იყო სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებელი;

- 2009 წლის 10 მარტიდან განწესდა მოსამართლედ და სამოსამართლო უფლებამოსილებას ასრულებდა:

- 2009 წელს წალკის რაიონულ სასამართლოში;

- 2009-2018 წლებში - ახალციხის რაიონულ სასამართლოში (იყო იმავე სასამართლოს თავმჯდომარეც);

- 2018-2020 წლებში - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში

- 2020-2021 წლებში - ახალციხის რაიონულ სასამართლოში;

- 2021 წლიდან დღემდე - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.

წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი და შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. მის სახელზე რეგისტრირებულია უძრავი ქონება: ბინა - 70.75 მ² ახალციხეში; მეუღლე ფლობს ბინებს 71 მ² და 41 მ² ქ. თბილისში და ბინას 29 მ² დაბა აბასთუმანში. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. კანდიდატი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

ბოლო სამი წლის მონაცემებით, კანდიდატს ადმინისტრაციული ან სხვაგვარი (მათ შორის - არც დისციპლინური) პასუხისმგებლობა, სამართლებრივი დევნა არ

დაკისრებია / არ დაწყებულა; საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მხარის სტატუსით არ მიუღია მონაწილეობა; დაზარალებულად რაიმე სისხლის სამართლის საქმეში არ ყოფილა ცნობილი.

ბოლო სამი წლის მონაცემებით:

ა) კანდიდატმა საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაიცვა საქმეთა 83.7% შემთხვევებში, ხოლო გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები დაიცვა საქმეთა 74.9% შემთხვევებში;

ბ) კანდიდატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 90% შემთხვევებში.

კანდიდატმა სამართლებრივი დოკუმენტების სახით შესაფასებლად წარმოადგინა მის მიერ გამოტანილი 4 განჩინება, ასევე - სტატია „ბრალის ნორმატიული და ფსიქოლოგიური გაგება" (გამოქვეყნებული 2012 წელს ჟურნალ „ინტელექტუალის" მე-20 ნომერში). მათი შესწავლით დავადგინე, რომ კანდიდატი ზოგჯერ სათანადოდ არ იყენებს სასვენ ნიშნებს.

კანდიდატი ხშირად მონაწილეობდა სასწავლო ხასიათის ღონისძიებებში (მაგ: სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის აქტუალურ საკითხებზე დაგეგმილი სამუშაო შეხვედრები, 4-ჯერ სხვადასხვა დროს; 3-დღიანი ტრენინგი თემაზე „ბავშვის უფლებათა კოდექსი"; 2-დღიანი ტრენინგი მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით და ა.შ.).

კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ:

- 2010-2018 წლებში კითხულობდა ლექციებს ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სისხლის სამართლის პროცესის და სამოქალაქო სამართლის პროცესის განხრით; ხოლო 2020-2022 წლებში - სამოქალაქო პროცესში;

- 2023 წელს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩაატარა ორი ტრენინგი მიგრაციის თემაზე.

2012 წელს გამოქვეყნებული აქვს ზემოთ აღნიშნული სტატია „ბრალის ნორმატიული და ფსიქოლოგიური გაგება" (გამოქვეყნებული 2012 წელს ჟურნალ „ინტელექტუალის" მე-20 ნომერში).

კანდიდატი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

ბოლო სამი წლის მონაცემებით, კანდიდატს ადმინისტრაციული ან სხვაგვარი (მათ შორის - არც დისციპლინური) პასუხისმგებლობა / სამართლებრივი დევნა არ დაკისრებია / არ დაწყებულა. ,,პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი" ზევრ სხვა კომპონენტსაც მოიცავს, როგორიცაა: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულება და ა.შ. (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდა) კანდიდატს, როგორც მოქალაქეს და მოსამართლეს, აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას. კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს ,,პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.

კანდიდატს შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები, არის პრინციპული, შრომისმოყვარე, თავმდაბალი, გაწონასწორებული, მიუკერძოებელი პოლიტიკური ან სხვა ნიშნით, არის - სამართლიანი. აქვს ზეგავლენის მიმართ მედეგობა. ზემოაღნიშნული თვისებებიდან გამომდინარე მივიჩნიე, რომ იგი აკმაყოფილებს, ,,დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.

კანდიდატთან საჯარო მოსმენისა და ასევე მის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, შეუძლია ემოციების მართვა და იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს. არის თავდაჭერილი, სამართლიანი და თავდაჯერებული. შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს ,,პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.

კანდიდატის პიროვნულ თვისებებს დადებითად ახასიათებენ გამოკითხული პირები. აქვს მაღალი რეპუტაცია, ავტორიტეტი, როგორც კოლეგა მოსამართლეებში, ასევე სასამართლოს აპარატის თანამშრომლებში, იურიდიულ წრეებში; შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს, ,,პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.

კანდიდატის შემოსავლის, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს ,,ფინანსური ვალდებულების" მახასიათებელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

საჯარო მოსმენისას კანდიდატს ,,იუსტიციის უმაღლესი საბჭოს" წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები სამართლის სხვადასხვა დარგიდან. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული, და კომპეტენტური. კანდიდატმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული საკითხების საფუძვლიანი ცოდნა. აქვს ანალიზის კარგი უნარი. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს როგორც მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სიღრმისეული ცოდნა. კანდიდატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში სამართლებრივი ნორმები გამოყენებულია სწორად. უნდა აღინიშნოს, რომ დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები ზოგიერთ შემთხვევაში იყო გარკვეულწილად ხარვეზიანი, თუმცა მნიშვნელოვანი შეცდომები/ხარვეზები არ გამოვლენილა.

შესაბამისად კანდიდატი გასაუბრებისა და მის მიმართ დასმული შეკითხვების სირთულის მიხედვით სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელში შევაფასე 18 ქულით.

კანდიდატს გააჩნია სამართალდამცავ ორგანოებში და მოსამართლედ მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება; ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი. მის მიერ შედგენილი დოკუმენტების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ შესწევს წერის კარგი უნარი. მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები/განჩინებები დასაბუთებული და დამაჯერებელია, ადვილად იკითხება და არის აღქმადი. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შეინიშნება მართლწერის მცირედი ხარვეზები.

აქედან გამომდინარე მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 18 ქულით.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში მსჯელობა ლოგიკურია, კანდიდატს გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის უნარი, სამართლებრივი დოკუმენტი არ არის გადატვირთული არამიზნობრივად. გაცნობილ მასალებში იყო მცირედი გრამატიკული ხარვეზები სასვენ ნიშნებთან დაკავშირებით, მაგრამ მნიშვნელოვანი გრამატიკული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა. საერთო ჯამში მის მიერ შედგენილი დოკუმენტები ადვილად იკითხება და არის ადვილად აღქმადი.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,წერის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 18 ქულით.

კანდიდატმა საჯარო მოსმენის შედეგად გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი; მეტყველებს გამართულად. აზრს ნათლად და გასაგებად გადმოცემს, მსჯელობს ლოგიკურად, აქვს უნარი სხვისი აზრის მოსმენისა. გასაუბრების მსვლელობის დროს იყო ღია და გახსნილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ,,ზეპირი კომუნიკაციის უნარი"-ს მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე 14 ქულით.

კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციისა და მასთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადების უნარი, არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. მისი ქცევა სასამართლო დარბაზში არის სათანადო. გადაწყვეტილებას იღებს დაუხმარებლად; აქვს სტრესულ სიტუაციაში სწრაფად მუშაობის კარგი უნარი.

ამდენად მივიჩნიე, რომ კანდიდატი პროფესიული თვისებების (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 14 ქულით.

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობს ხშირად; გააჩნია სათანადო ინტერესი ცოდნის, ახალი გამოცდილებისა და უნარების შეძენისა. არის მოტივირებული და ზრუნავს თვითგანვითარებაზე. მასთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ არის შრომისმოყვარე და ღიაა სიახლეების მიმართ.

კანდიდატი ,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 5 ქულით.

კანდიდატი აქტიურადაა ჩართული და ესწრება სამართლებრივი სისტემისა თუ მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა შეხვედრებსა და სემინარებს; იჩენს ინიციატივას და აყენებს ახალ იდეებსა და წინადადებებს. კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე 5 ქულით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს მივანიჭე - 92 ქულა.

ხელმოწერა

თარიღი 29.04.2024